



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 061/13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

მარიტა გორგილაძე (სტუდენტი)

ფაქტები

კლიენტმა მიმართა ეთიკის კომისიას ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით. საჩივრის ავტორი დაბა ხელვაჩაურში ფლობდა მიწასა და „სარაიას“, აღნიშნული „სარაია“ განადგურდა, ნივთები კი დაიკარგა. სწორედ ამ საკითხის მოსაწესრიგებლად მიმართა ადვოკატს კლიენტმა. კლიენტის აზრით ადვოკატი იყო უმოქმედო, არ იცავდა მის უფლებებს, ასევე არ ატყობინებდა საქმის ირგვლივ მიმდინარე მნიშვნელოვან სიახლეებს. ადვოკატმა მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, სასამართლომ დააკმაყოფილა ადვოკატის მოთხოვნა. ასევე, ადვოკატი დაეხმარა საჩივრების შედგენაში ხელვაჩაურის რაიონის ტექსტუალური დოკუმენტაციის ინსპექციის მიერ, კლიენტის მიერ თვითნებურად აგებული დამხმარე ნაგებობის იძულებით დაშლისას გარკვეული ნივთების დაკარგვის ფაქტზე და თვითნებურად დაკავებული საცხოვრებელი ფართის დაკანონების ღონისძიებების გატარებისათვის.

სამართლებრივი შეფასება

კომისიამ იმსჯელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) მუხლის, 6.2 მუხლისა და აპეკის 8.5, 8.6 მუხლების შესაძლო დარღვევაზე. ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებისა და მინიჭებული რწმუნების საფუძველზე იმოქმედოს კლიენტის ინტერესის დასაცავად. ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. კოლეგიამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მითითება იმის თაობაზე, რომ ადვოკატს არაფერი გაუკეთებია მისი ინტერესების დასაცავად. რადგან ადვოკატმა სასამართლოსაც მიმართა და ტექსტუალური დოკუმენტაციის ინსპექციას. კლიენტისთვის საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასთან დაკავშირებით კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კომისიამ არ გაიზიარა სარჩელის ავტორის პოზიცია, იმის თაობაზე რომ იგი სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის საკითხის განხილვას ვერ დაესწრო ადვოკატის მიერ სასამართლო სხდომის თარიღის შეუტყობინებლობის გამო. მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, არ ხდება სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის ზეპირი განხილვა. საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება კოლეგიისთვის, რომელიც დასაბუთებული ვარაუდისთვის საკმარის საფუძველს შექმნიდა იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა არ გააცნო საჩივრის ავტორს სასამართლო საქმის მასალები და უზღუდავდა მასთან დაკავშირების საშუალებას. კოლეგია ასევე აღნიშნავს, რომ კლიენტის მიერ სასურველი სამართლებრივი შედეგის მიუღწევლობა მაშინათვე არ მიიჩნევა არაკვალიფიციურ წარმომადგენლობად და დაკავშირებულია რიგ სხვადასხვა ფაქტორებთან. ადვოკატის პროფესია არის თავისუფალი, რაც იმას ნიშნავს რომ ეს მნიშვნელოვანი პრინციპი დაცული უნდა იყოს. საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე რომ ადვოკატის

¹ <https://gba.ge/pdf/5c5297b0dfcf2.pdf/5c5297b0dfcf2.pdf>

მიერ დამატებითი საპროცესო ქმედებების შესაძლებლობებისა და მისი შეფასებით, უმოქმედობის შესახებ, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს რომ ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებებისა და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. ეს მის კომპეტენციას სცილდება, თუმცა საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით ადვოკატის ქმედებები მიზნად ისახავდა კლიენტის ინტერესების დაცვას და საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე აპკ-ის მუხლების დარღვევას ადგილი არ ჰქონია და ადვოკატის მიმართ არ არსებობდა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.